№ 3 | 11 იანვარი, კვირა | 1866—1876 | 11 იანვარი, კვირა | № 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

რედაქცია

ველიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8 — მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.
ცალკე ნომერი — ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცერონით სტრიქ. — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებს.
დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

რედაქციაში (ველიამინოვის ქუჩაზე, ჩაიგეშტოვის სახლებში) მიიღება

ხელის-მოწერა ამ 1876 წლის

„დროებაზე“

ფასი მთელი წლისა — 8 მან.
ნახევარი წლისა — 4 მან. და 50 კ.
სამის თვისა — — 2 მან. და 50 კ.
ერთი თვისა — — 1 მან. „ „ „

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა შემდეგის ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба.“

—

ჩვენს აგენტებს შარშანდელი ფულების დროზე გამოგზავნის თხოვნას ვუმეორებთ.

საქართველო

გლეხს კრედიტი უნდა

—

დიახ, მოვიდა ისეთი დრო, როდესაც ქართველი კაცი მუდამ ფულზედა ჰფიქრობს; როდისაც და რაზედაც უნდა დაიწყოს ლაპარაკი, გინდ ბანკზე, გინდ მარშლების ამორჩევებზე, გინდ რკინის გზაზე, გინდ წლევანდელ მომავალზე ანუ შარშანდელს თოვლზე. — მაინც ყოველთვის ბოლოს-და-ბოლოს ფულზე და ისევ ფულზე ჩამოგიარაკებს.

ქართველი კაცი ამაზედ ლაპარაკობს, და ქართული გაზეთი, რომელიც, თუ არ არის, უნდა იყოს იმის გონებითი მიმართულებისა და ჰაზრის გამომხატველი, იძულებულია აგრეთვე ამაზედვე ილაპარაკოს... „დრონი მეფობენო,“ ხო გაგიგონიათ!

ყველას გვეჭირება ფული. ნაბატონრევსა და ნაყმევს, ვაჭარსა და მღვდელს, ჩინოვნიკსა და უჩინოს, ერთის სიტყვით, დიდსა და პატარას, ყველას თითქმის ერთნაირი ლტოლვილება, ერთნაირი სურვილი აქვს, რომ სადმე და როგორმე ფული შეიძინოს; ყველას გვესმის, რომ უფულოთ ახლანდელ დროში ცხოვრებაში გასაჭირია.

ყველას გვეჭირება; მაგრამ ისე კი არავის, როგორც ამდროინდელ ჩვენ გლეხსა.

ვაჭარმა რომ ფული ვერ იშოვნოს, ამით ქვეყანას, არა თუ არა მოაკლდება რა, იქნება კიდეც შეემატოს; ნაბატონარს რომ ფული შემოაკლდეს, მართალია, ცუდია, მაგრამ მაინც არა უშავს რა: თუ ბანკისა და თუ სხვა ღონის-ძიებით გამოსძებნის.

მაგრამ გლეხი კი სულ სხვაა: იმის უფულობა ახლა მთელს ქვეყანას დაეტყობა, მთელ საქართველოსთვის საგრძნობელი იქნება.

მოკლეთ აეხსნათ გარემოება:

ნურას ვიტყვით იმ გაჭირებაზე, რომელშიაც ახლანდელი საქართველოს გლეხი ყოველ გვარი სოფლის წურბელაებისაგან არის ჩავარდნილი; ნურას ვიტყვით იმაზე, თუ რა დღე ადგებათ იმათ, როდესაც მოვალე მიადგება კარზე და ხშირად წლიურს მოსავალს წააგლეჯს ხოლმე.

ამ გაჭირებიდამ, სულ თუ არა, სანახევროთ მაინცა, ადრე თუ არა — გვიან, ის გამოუხსნელ-შემნახველი ამხანაგობანი და ბანკები გამოიხსნის გლეხს, რომელიც ზოგან გამართულა და ზოგან იმართება ახლა ჩვენში.

მაგრამ ახლანდელ ქართველ გლეხს მეორე და უფრო მძიმე განსაცდელი ადგია კარს, მეორე დაჭირება აქვს, რომლის დაკმაყოფილებაზე იმის და იმასთან საქართველოს ბედიცაა დაკავშირებული, დამოკიდებული.

„სანადელო“ მიწის შესყიდვაზე ვამბობთ.

მოაწია დრომ, როდესაც ამ საგანზე უნდა მოიფიქროს ყველამ, ვისაც კი გული შესტკივა ჩვენი ქვეყნის მომავალი ბედისათვის.

ქართველ გლეხს მიწა უნდა ჰქონდეს; უმიწოთ იმის ცხოვრება შეუძლებელია; იმ დღეს, რა დღესაც ჩვენებურ გლეხს მიწა ჩამოერთმევა, ჩვენ ჩვენი ქვეყნის ბედს საუკუნოთ უნდა გამოვეთხოვოთ.

მართალია, „ყმობითი დამოკიდებულებისაგან გამოსულ გლეხების წესდებულებაში“ მოხსენებულია — თუ როგორ და რა ღონის-ძიებით შეუძლია გლეხს იშოვნოს ფული სანადელო მიწის შესაძენათ; მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ეს ღონის-ძიება ერთობ ძნელია, ერთობ დახლართულია.

შეიძლება მეორე ღონის ძიება, მეორე სახსარი იხმაროს ჩვენში კაცმა, რომ ამ მხრით დაეხმაროს გლეხსა.

ეს სახსარი არის ისეთი ბანკისა ანუ საკრედიტო დაწესებულების გამართვა, რომლის განსაკუთრებული, სპეციალური დანიშნულება გლეხებისათვის მიწის გამოსყიდვა იქნება.

ამისთანა ბანკს შეუძლია ხელი მოუმართოს ფულით ყოველ გლეხს, რომელსაც სანადელო მიწის საკუთრებათ შეძენა ჰსურს. ის ასესხებს და ასესხებს მხოლოთ იმისთვის, რომ მიწა შეიძინოს ნაბატონრებისაგან და გირაოთ შეუძლია ესვე მიწა მიიღოს.

ამისთანა ბანკს ჩვენს დროში ყველა სხვა გვარ ბანკებზე უფრო უძლიერესი მნიშვნელობა აქვს, და როგორც ზევით მოგახსენეთ, ამაზედ იქნება დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მომავალი ბედი.

ჩვენის ჰაზრით, ტფილისისა და ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკები ამგვარი საგლეხო ბანკის ანუ ბანკების გამართვით უფრო მომეტებულ სარგებლობას მოუტანებენ ჩვენს ქვეყანას, ვიდრემ თითქმის თავის პირ-და-პირი მოვალეობისა და დანიშნულების აღსრულებით....

როგორც გაზეთის სტატიას შეეფერება, ჩვენ აქ მხოლოთ გაკვრით ვილაპარაკეთ ამ საგანზე; უფრო გარკვევითა და დალაგებით განსჯა ამ მძიმე საქმისა ჩვენ მიგვინდვია იმ დაწესებებისთვის, რომელთაც თითქმის პირ-და პირ მართებთ ამაზედ ფიქრი და რომელთაც ამის სისრულეში მოყვანა შეუძლიანთ: მიგვინდვია ტფილისისა და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკების გამგეობათათვის.

დღიური

—

გუშინ საღამოს მოგვივიდა ტელეგრამმა ქუთაისიდგან, რომლითაც გვატყობინებენ, რომ ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის კომისიას გადუწყვეტია 14 აპრილისათვის კრების დანიშნვა ბანკის გამგეობის ამოსარჩევად.

*
* *

ცეცხლის გემის „პერევენეცისა“ და ბარჟის № 34-ის დაღუპვის თაობაზე, შემდეგი წიგნი მივიღეთ ფოთიდამ:

„2 დეკემბერს დაღუპულის ცეცხლის გემის „პერევენეცის“ საქონელი ზღვამ ათასს ცალამდის გამოყარა ნაპირზედ, ექვს ვერსზედ ფოთიდამ, სამხრეთით, ე. ი. იქ, სადაც გემი დაიღუპა. „რუსის საზოგადოების“ აგენტსტვომ და პოლიციამ შეკრიბეს ერთს ადგილას და იქვე საზოგადო ვაჭრობით გასყიდეს. ხოლო საქონელი ბარჟის № 34, თუმცა გამოაგდო ზღვამ, მაგრამ ზღვის ნაპირზე ტრიუმი აივსო წყლით და მომეტებული ნაწილი ამ საქონლისა წყალში გაფუჭდა, დალპა და დაიბნა.

„ოდესიდამ მოიყვანეს იარაღით ორი ზღვაში მყვინთავი კაცი, რომელთაც ნახეს დაღუპული გემი, ეძებეს დამხრჩვალი კაცები, მაგრამ ვერაფერი გაიგეს; ტრიუმი გემისა სილით არის სავსეო, არც საქონელი და არც დაღუპული კაცების ნახვა არ შეიძლებაო, და ორნივე ისევ ოდესაში წავიდნენ. ძალიან გასაკვირია, რომ არცერთი 20 კაც დამხრჩვალთაგან ზღვამ არსად გამოაგდო...“

*
* *

ამბობენ, „კავკაზის“ რედაქცია ცდილობსო, რომ ეს გაზეთი ყოველ დღე გამოსცესო. კვირაში სამჯერ სრული ფურცლის გამოცემა უნდათ და სამჯერ ნახევარ-ნახევარი ფურცლისაო.

*
* *

დიდის სიამოვნებით ეთხოვებიან გორელები თავიანთ დეპუტატებსა და საზოგადოთ ძველ ქალაქის გამგეობას, და იმედოვნებენ, რომ ახალი თავი ქალაქისა და გამგეობა გამოიყვანს ადრინდელის ცოდვებსა. და ამათ ბევრი საქმე დახვდებათო, თუ კი გულით მოეკიდებიან ჩვენი ქალაქის ბედსაო.

*
* *

ოზურგეთიდამ გვწერენ, რომ პოლიციამ მოიხმო აქაური ვაჭრები და გამოუცხადაო, რომ უმაღლესი ბრძანება არისო, რომ ამ წლიდამ ახალი ვაჭრობის წესი დგებაო და ყველა, რასაკვირველია, ამ წესს უნდა დაემორჩილოსო. ახლა ვაჭრებმა არ იციან — რა არის ეს ახალი წესი და როგორი ვაჭრობის მოწმობა უნდა აიღონო და ამის გამო ძალიან შეწუხებული არიანო.

ჩვენ გვაკვირვებს, რომ ადმინისტრაციამ გასაგონს ენაზე არ გამოაცხადა, მთელი ახალი წესდება თუ არა, სხვა და სხვა გილდიისა და მოწმობების ფასები მაინცა.

ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად, მომავალ „დროების“ ნომერში გადმოვბეჭდავთ წლევანდელი „დროების კალენდრიდამ“ მოკლეთ ამ საგნის შესახებ ახალს წესდებას.

*
* *

„დროებაში“ იყო ამას წინათ გამოცხადებული, რომ „ჩვენშიაც“ სდგება მოსწავლე ახალგაზდების დამხმარებელი საზოგადოება - მეთქი. „ტფილისის მოამბეს“ ეს ცნობა შეცდომით გადაუბეჭდია, ვითომც „ტფილისში“ სდგება ამგვარი საზოგადოება. ტფილისში კი არა, რამდენათაც ჩვენ შეგვიტყვია, ეს ჰაზრი პირველად ქუთაისში დაიბადა და ერთი საპატიო ქალი ცდილობს იმის სისრულეში მოყვანას.

*
* *

ზემოხსენებული გაზეთი გვაცნობებს, რომ ამ მოკლე ხანში გაიხსნება ფოთში ურთიერთო კრედიტის (ბანკის) ამხანაგობა, რომელიც შარშან 8 ოქტომბერს დამტკიცდა ფინანსთ მინისტრისაგან.

*
* *

ფოთიდამ გვატყობინებენ, რომ ამ იანვრის 2-ს სახერხავ მაშინას გაუჩნდა ცეცხლიო და სანამ ვინმე მოეშველებოდა, სრულიად დაიწვაო. მაშინა და სახლი ვილაც ტრაპიზონელი ბერძნის ყოფილა და 7,000 მანეთში ყოფილა რომელიღაც საზღვეველ საზოგადოებაში შეტანილი.

*
* *

გუშინ, შაბათს, როგორც იყო რუსეთსა და უცხო ქვეყნის ფოჩტას ველირსეთ: სამი ფოჩტა ერთად მოვიდა. ამნაირად უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში მხოლოთ ხუთი ფოჩტა მოვიდა ქალაქში რუსეთისა.

„დროების" კორრესპონდენცია

ქახეთიდამ, 3 იანვარს

ერთხელ რომ ავიარ-ჩავიაროთ ახმეტის სახნავ-სათეს მინდვრებზედ, რომლებიც არიან გალავანივით ახმეტის გარს შემორტყმულნი, მაშინვე ვიტყვით, რომ აქაურს მცხოვრებლებს არაფერი უნდა გაუჭირდეს ცხოვრებაშიო.

მართლაც, ეს ალაგი იგეთი ნაყოფიერი არის, რომ არც ერთს თელავის უეზდის სოფელს არ ჩამოუვარდება. აქაურს მინდვრებს თავის დღეში არ უნდა მორწყვა; აქაურს ღვინოზე და იმას თვისებაზე შეიძლიან გაბედვით ვსთქვა, რომ, როგორც რიგია ისე კეთდებოდეს, იქმნებოდა პირველი მთელს ქახეთში.

არ შეიძლება ვსთქვათ, რომ ახმეტელი გლეხები იყვნენ ზარმაცები; არა, ისინი შრომის მოყვარენი არიან. ამას რო მოუმატოთ სხვა და სხვა გარემოებები, რომელიც საზოგადოთ ქახეთის ბუნებამ მისცა თავის მცხოვრებლებს, მაშინ დარწმუნებით იტყვის მკითხველი, რომ აქაური მცხოვრებლები მდიდრებიც კი უნდა იყვნენო, არამც თუ გაუჭირდეთ რამე ცხოვრებაშიაო.

მაგრამ, აბა, ერთი გაიარეთ შუა სოფელში, რა გულის-საკლავ სურათსა ჰნახავთ.

იმ ადგილებისა და სახნავების პატრონები, რომლებიც ერთის შეხედვით არწმუნებენ მგზავრს, რომ იმათ შეუძლიანთ ბევრი ხალხი აცხოვრონ, მევენახეების პატრონები, რომლებიცა ქახეთში მშვენიერს და სამაგალითო ღვინოს აკეთებენ, დადიან დიბლვერძილ ფლასებში, იმათი ტანისამოსი ტანისამოსს არა ჰგავს, ჩოხა შამობლერძილი აქვს......

შედით ახლა იმის სახლში. ჩალისაგან გაკეთებული ჭილობის მსგავსი საფენი უგია იმის ცოლშვილს და ისე სხედს და იხუხებიან ცეცხლზედ საწყალი იმის წვრილი შვილები, რომლებსაც ზოგს პერანგის მეტი არაფერი აცვია, ზოგი ფეხშიშველა არის...

აი სურათი ახმეტელი გლეხის ცხოვრებისა!

თუ მიწა ნაყოფიერია, მცხოვრებლები შრომის მოყვარენი არიან, მაშ რა არის მიზეზი ამისთანა უწყალო სიღარიბისა? ამის მიზეზები არიან ის სოფლის წურბელები, ის მთელი საქართველოს შემწუხებლები, რომლებზედაც ასე ხშირად სწერენ „დროებაში." მე ვამბობ მედუქნეებზედ.

რომ ავსწეროთ დაწვრილებით აქაური მედუქნე ხალხის მდგომარეობა, იმათი ავაზაკებრივი ულმერთოთ ცარცვა გლეხებისა, იმათი მგლებრივი ტაციობა და გლეჯა გლეხების ცხოვრებისა, ვიცი ნამდვილათ, რომ არც ერთი მკითხველი არ დაიჯერებს გარდა იმისა, ვინც ჩვენში სცხოვრობს ან უცხოვრია.

დადგება თუ არა ზაფხული, საწყალი გლეხი დილიდამ საღამომდი მინდორში იწყვეტავს წელს, იქა ჰღვრის თავის სისხლს, ჰხნავს, სთესავს და როცა ამას გაათავებს, ახლა ვენახს მოუბრუნდება სამუშაოთ.

გავიდა რამდენიმე ხანი და კიდეც მოვიდა მკის დრო. გლეხი უნდა წავიდეს, ტანჯვითა და წვალებით მომკოს და, მოიტანოს და გალეწოს. მთელი დღის განმავლობაში უნდა ის კევრზედ იდგეს და, ისე ჰგონია, მთელი ხმელეთი ჩემიაო, ისე სიხარულით და ყმაწვილებრივის ალტაცებით დაჰძახის „ოროველას."

მაგრამ გალეწა თუ არა, დაგროვა კალოზედ გასახვეობათ და შესანახავათ, ამ დროს მოადგება კალოზედ ლიტრიანით მუცელ გაბერილი წურბელა და წაიღებს უკანასკნელ ხორბლის მარცვალამდე გლეხის წლის ლუკმას.

აბა, შე უბედურის დღისავ, შე ბეჩავო! რა გამღერებდა დღეს, როდესაც იცოდი, რო სხვისთვის იწყვეტავდი წელს, რომ იმათთვინ შრომობდი?! ჩაგიარა, შე საწყალო, მუქთათ ერთმა გაზაფხულის შრომამ! ვისთვის ღვრიდი, ბუნების გვრო, სისხლს, ოფლს? მერე რაში გაუცვალე შენი ოფლი, შენი ერთი გაზაფხულის შრომა იმ შენ მეზობელ ვაჭარს? ხუთს არშინ დამპალ ჩითში, ან იმდენშივე მიტკალში!

ესრეთ მისდის ხელიდგან უბედურ ახმეტელ გლეხს მთელი წლის მოსავალი პური.

გაათავა ლეწვა, და ახლა მოვიდა რთველის დრო. ისევ ისეთი მხიარულებით შეუდგება რთველის საქმეს, ისევ ისეთი სიხარულითა და სიმღერით დაჰკრეფავს ყურძენს და გააკეთებს ღვინოს; მაგრამ ის საწყალი ისევ ისეთი გულ-მოკლული რჩება და ხელცარიელი, როგორც პურზე! ან ხუთ მანეთს ისესხებდა იმ ვაჭრებისაგან და დაუწერავდა თორმეტ ჩაფს წმინდა ღვინოს, ან ერთ ჩოხას გამოართმევდა, და აი ესეც წლის მოსავალი, რომელიც წაუვიდა ხელიდგან!

ამნაირად წაიღეს სამი მეოთხედი გლეხის მოსავლისა. რაც დაჰრჩა, ის უნდა იმყოფინოს საჭმელად და მეორე წლისათვის სათესლეთ. მაგრამ ის როგორ ეყოფა? შემოაკლდება შუა ზამთარში პური და დარჩება ცარიელი. მიდის ისევ იმ თავის მცარცვავ მედუქნესთან და ეხვეწება, რო პური ასესხოს. ესეც აძლევს სიხარულით, მაგრამ იმ პირობით, რომ გლეხმა ახალი მოსავლის დროს მისცეს ორი ან სამი იმოტელა, რამდენსაც სესხულობს. რა ცეცხლია! გლეხს ართმევს მედუქნე, და ისევ იმას აძლევს, რომ მეორე წელს სამი იმოტელა გამოართოს!

ს. ახმეტაში არის რამდენიმე დუქანი. რაკი დადგება ლეწვის დრო, ყველა დუქნიდგან, მთელი ზაფხულის განმავლობაში, დილიდგან საღამომდე, დადიან ზოგი ცხენებით, ზოგი ურმით და ჰკრეფავენ გლეხებისაგან პურს.

მაგრამ ესენი განა სჯერდებიან იმას, რომ გლეხს ართმევენ პირიდგან უკანასკნელ ლუკმას? ისეთი გლეხი ვინ იქნება ახმეტაში, რომ უკანასკნელი ათი თუმანი არ ემართოს მედუქნეებისა და ზოგიერთს და უფრო მომეტებულს ნაწილს სამოციდგან ას და მომეტებულს თუმნამდე!

განა დიდი ხანია, რაც ეს ცხლა გაბერილი და გატენილნ ფულით ვაჭრები მოვიდნენ ახმეტაში სავაჭროთ სულ სამიოდე თუმნის საწვრიმალოთი? სულ არ იქნება მას აქეთ ცხრა ათი წელიწადი. და ეს სამი თუმანი აქციეს რამდენათ? აი რამდენათ: გააკეთეს მშვენიერი დუქნები, როგორებიც ზოგიერთ თფილისელ მედუქნეს ენატრებათ, გამართეს საკუთარი პურის ბეღლები, მარნები, შეიძინეს იმისთანა ზვრები, რომლისაგანაც წელიწადში ორასი თუმნის ღვინო შეიძლებოდა გაიყიდოს. რამთვენს გლეხს სახლი გამოაცალეს ხელიდგან, ვის მართლათ ალებინეს ხელი თავიანთ მამულზედ! რაც რამ კარგი და უკეთესი ჰყოლია და ჰქონია გლეხს ცხენი თუ, საქონელი თუ, სახნავი თუ, ვენახი თუ, სულ ამათ ხელში გეგონოთ.

თიონეთის მომრიგებელ სასამართლოში იმოტენა მთელ თიონეთის მაზრის საქმე არ გაკეთდება, რაც ახმეტელი მედუქნეებისა; ისინი ყოველ კვირადგან ან ამ სასამართლოს კარზედ გლეხის სიჩივლელათ.

აბა იმისთანა რო გამართოს ვინმემ, როგორიც ამას წინათ ჰსწერდა უფ. ივანე როსტომაშვილი და ის იმდენი პური და ღვინო და ყოველივე თავის ნაშრომი ისევ იმ გლეხს დაჰრჩეს, გაუჭირდებოდა რამე იმას ცხოვრებაში?

ეჰ! ქვევლას პატრონი და მოთავე უნდა. განა თითონ ახმეტელი გლეხები არა ჰგრძნობენ უბედურებას, მაგრამ რა ქმნან საწყლებმა? იმათაც უნდათ, რომ თავიდამ მოიშორონ თვიანთ დამღუპავები; მაგრამ იმათაც ისე მოჰდით, როგორც თაგვებს, რომელთაც ერთხელ დაავირეს, რო კატას ეჟვანი შევაბათო, მაგრამ იმათში ისეთი გულადი ვერავინ გამოჩნდა, რომ მიებედნა კატასთან და შეება ეჟვანი.

ახმეტელი როსტომაშვილი

ს. ახმეტა

რუსეთი

ნემცები რუსეთში

—

რუსული გაზეთის „რუსკი მირის" მე-252 ნომერში არის დაბეჭდილი ერთი ყურადღების ღირსი მოწინავე სტატია.

ამ სტატიის ავტორი ამტკიცებს მრავალი ოფიციალური საბუთებით, რომ უმთავრესი ადგილები, როგორც სამხედროს აგრეთვე სამოქალაქო ნაწილისა რუსეთში ნემცებს უჭირავსო. ეს მით უფრო გასაკვირველიაო, რომ ნემცები შეადგენენ მხოლოდ ერთ პროცენტს (ერთს მეასედს) რუსის ხალხისასო.

ეს ისეთი მოვლენა არისო, ამბობს ავტორი, რომლის მსგავს მაგალითს ჩვენ ვერ ვხედავთ ვერც ახალს და ვერც ძველს ისტორიაში. ყოველს სახელმწიფოში მთელს დედა-მიწის ზურგზე სახელმწიფო საქმეები და ხალხის ბედი იმ პირების ხელში ყოფილა, ვინც პირ-და-პირ ხალხიდამ გამოსულა, რომელსაც ესმის ნამდვილი ხალხის მოთხოვნილება და მისი გულის თქმა, და რომლის გაგება და გრძნობა არ შეუძლია უცხო თემის კაცს.

ჩვენ ამითი, ამბობს ავტორი, სრულებით არ გვინდა უსაყვედუროთ ნემცებს, რომელთაც აქვსთ და ჰქონიათ დიდი მნიშვნელობა ჩვენს ცხოვრებაში, არამედ ჩვენ გვსურს ამაზე მივაქციოთ ყურადღება, როგორც ისეთს მაგალითს, რომლის მსგავსი ისტორიაში ვერ ვხედავთ.

რას ნიშნავს ეს მოვლენა? რა მიზეზმა გამოიწვია ამნაირი უმსგავსობა ჩვენს ცხოვრებაშიო ჰკითხულობს ავტორი.

შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ რუსის ცხოვრებას ჯერ-ჯერობით არ შეუძლია მისცეს სახელმწიფოს ისეთი ნიჭიერი და მცოდნე პირები, რომელთაც შეეძლოსთ მთელი სახელმწიფოს ბედის კისრვა. ჯერ რუსის ხალხი საჭიროებს მასწავლებლებში და ხელმძღვანელებში.

მაგრამ ისტორიის ერთი თვალის გადავლება გვიმტკიცებს, რომ გასაჭირისა და შიშის დროს რუსის ხალხს თავის დღეში არ დასჭირებია უცხო ქვეყნელების ხელმძღვანელობა და შემწეობა; იმას ყოველთვის თავის თავისთვის თითონ უშველია. დასამტკიცებელ მაგალითად ავტორს მოჰყავს მონგოლების განდევნა რუსეთიდამ და ნაპოლეონის დამარცხება მეთორმეტე წელში.

ამასთან ამბობს, რომ თვით სახელმწიფო შემთხვევებისა გამო დიდს ეკატერინას არ შეეძლო მიენდო უმთავრესი სახელმწიფო ადგილები ნემცებისათვის; იმან სახელმწიფოს ბედი მიანდო თითონ რუსებს. ყველამ კარგათ იცის—როგორ მშვენიერს და სანატრელს დროს შეადგენს ჩვენს ისტორიაში ეკატერინის მეფობის დრო.

ამის გამო ნემცების უმრავლესობა სახელმწიფო თანამდებობაში და მათი უპირატესება ადმინისტრაციაში არ არის დამოკიდებული იმაზე, რომ რუსს არ შეეძლოს კისრვა თავისი სამშობლოს ბედისა.

უცხო ქვეყნები

ოსმალო. ამას წინეთ ჩვენ ვ წერდით, რომ ავსტრიის კაბინეტს აქვს რეფორმის პროექტი, რომელიც უნდა წარუდგინოს ხვანთქარს და ურჩიოს იმ ნაირად თავის საქმის გათავება.

ეს პროექტი გვეინ ენოთ ისევ ხელ-ახლა: ა) ხვანთქარმა არ უნდა გამოცვალოს დიდი ვეზირი 1880 წლამდის; ბ) ზოგიერთი პროვინციებიდგან უნდა შეადგინოს რამოდენიმე თავისუფალი სახელმწიფო, რომელთაც ცოტაოდენი გადასახადის მეტი არა მოეთხოვებარა, და თუ ამას არ ისურვებს, მაშინ ოთხი მინისტერი: შინაგანი საქმის, უცხო ქვეყნის, ფინანსის და იუსტიციის უნდა იყვნენ ქრისტეს სარწმუნოების; გ) იმ ექვსი ხელმწიფის წარმომადგენელთ, რომელთაც პარიჟის ტრაქტატზე (1856) ხელი ეწერათ, უნდა მიიღონ მონაწილეობა ყოველ შინაგანი საქმის გადაწყვეტილებაში.

აი, ეს სამი პუნქტი იყო, რომელზედაც ამბობდენ, რომ ავსტრიის კაბინეტი ამზადებს და ხვანთქარს უნდა წარუდგინოსო. ახლა ტელეგრაფი გვატყობინებს, რომ ყველა დიდი სახელმწიფოები თანახმა არიანო ამ პლანზედ; მხოლოდ ინგლისს არ გამოუცხადებია ჯერ თავის თანხმობა; თითონ ხვანთქარზედაც ამბობენ, რომ ის თანხმა არისო, რომ ეს პლანი მიიღოს ყურადღებაში, როდესაც ის მოახდენს რეფორმებს. ინგლისის უმთავრეს გაზეთებს მრიელ მოსწონთ ამ ნაირი ხვანთქრის ძალდატანება.

— იმისთანა დიდი ზამთარი დამდგარა ჰერცოგოვინაში, რომ ყოველ ნაირი საომო მოძრაობა შეუძლებელია; ამიტომაც აღარაფერი ისმის იმათ მოქმედებაზე.

საფრანგეთიდგან არ მოგვდის სასიამოვნო ამბები: იმ 75 სენატორებს გარდა, რომელიც ნაციონალურმა კრებამ ამოირჩია, კიდევ არის 225 სენატორი ამოსარჩევი; ესენი უნდა ამოარჩიონ ცალკე დელეგატებმა, რომელთაც ამოარჩევენ მუნიციპალური და საზოგადო (გენერალური) რჩევები; ამმათთან იქმნებიან ეხლანდელი ნაციონალური კრების დეპუტატებიც; ეს არჩევანი იქმნება 18 ამ იანვარს, მაგრამ დელეგატების არჩევანი კიდევაც ყოფილა 4— იანვარს; როგორც გვატყობინებს ტელეგრაფი, უმეტესი ნაწილი ამ დელეგატებისა კონსერვატორები არიანო. ვნახოთ, სენატორები როგორი იქნებიან; ნაციონალური კრების დეპუტატებიც უფრო მეტი კონსერვატორები იყვნენ, მაგრამ მათგან ამორჩეული სენატორები ორ მესამედზედ მეტი სულ რესპუბლიკელები არიან.

— ამას წინეთ ერთმა ფრანცუზულმა გაზეთმა „La Jironde“ დაბეჭდა გამოჩენილი საფრანგეთის არხეოლოგის ბურნუფის წერილი; ეფიქრობთ, არც ჩვენი მკითხველებისათვის დარჩება ურიგოსოთ ამ წერილის წაკითხვა მით უფრო, რომ აქიდგან დაინახავენ — თუ რა იმედი აქვს თითონ უნივერსიტეტსაც მომავალი რესპუბლიკის და განსაკუთრებით სენატისა.

„ბატონო რედაქტორო!

„მეითხრეს, რომ ამას წინეთ სწავლის დაწყების დროს, ღვთის მეტყველების ფაკულტეტის დეკანს უთქვამს სიტყვა, რომელიც არამც თუ კლერიკალური ყოფილა, არამედ სრულებით წინააღმდეგი ყოფილა უმთავრესი პრინციპების, რომელზედაც დამყარებულია ჩვენი თანამედროვე საზოგადოება; ეს საქმე არ ეუცხოვებათ იმ პირთ რომელთაც კარგათ იციან ღვთის მეტყველების ფაკულტეტის ისტორია ამ ხუთმეტი წლის განმავალობაში.

„ერთ დროს აქ იფარავდა კიდევ თავს ჩვენი გალიკანური ეკკლესია, აქაური სწავლა გვაგონებდა ხოლმე ჩვენ ძველებურ საეკკლესიო თავისუფლებას; მაგრამ შემდეგ თან-დათან ყველა უმთავრესი ადგილი ულტრამონტანებმა დაიკავეს; და ახალგაზდა სამღვდელოება სხვა და სხვა მიზეზით მოიშორეს თავიდგან, და მთელი ფაკულტეტი მისთანა პირების ხელში გადავიდა, რომელნიც სრულებით მოშორებული იყვნენ ჩვენი ძველებური ეკკლესიის თავისუფლებაზედ; ამ ნაირად, პატარ-პატარად, ყველამ, ვისაც კი ანაფორა ეცვა, თავის უმთავრეს შემაგონებელ ცენტრად გაიხადა, საფრანგეთი კი არა, რომის ქალაქი და იქაც ვატიკანი კი არა—თითონ იეზუიტების სასახლე. ამის შემდეგ რაღათ უნდა გვეკვირდეს რამე დღეს?

„რომ სხვა მიზეზებს არ მოეშალოს ჩემთვის დეკანის მოვალეობის აღსრულება, რომელიც მინისტერმა ვალონმა მომანდო მე, მაშინ სულ სხვა ნაირ სიტყვას გაიგონებდით თქვენ იმ დღეს; მე წარმოგიდგენდით უმაღლესი სწავლის ეხლანდელ მდგომარეობას, და განახვებდით რა ნაირად ეკარგებოდა ავტონომიადა თავისუფლება, რამდენათაც ულტრამონტალური მიმართულება ძლიერდებოდა საფრანგეთში.

„მე თქვენ გაახსენებდით რა ნაირათ აჩერებდენ ლექციებს, სცლიდენ, სჯიდენ და სტუქსავდენ საუკეთესო და უპატიოსნეს პროფესორებს; მაშინ დაინახავდით, რომ ახალმა კანონმა, რომელმაც სამღვდელოებას სრული სწავლების თავისუფლება მიანიჭა, სამოქალაქო დასტოვა ისევ იმ მონებაში, სადაც აქამდის ის იყო.

„ჰგონიათ დააკმაყოფილეს ახალი საზოგადოების მოთხოვნილება, როცა გახსნეს ორი ან სამი ფაკულტეტი და მიუმატეს რამდენიმე კათედრა. ცენტრებში ბევრი ფაკულტეტები არის, მაგრამ ცოტა კათედრები, მათ აკლიათ სამუშაო საშუალება, არა აქვთ ჯეროვანი თავისუფლება, ურომლოთაც მეცნიერება შეუძლებელი არის.

„ბარეთ სახელმწიფო სასწავლებელი დაბორკილი არის. როგორ არიან შედგენილი უმაღლესი რჩევა, აკადემიის რჩევები? სამოქალაქო სწავლის უსაშინელესი მტრები იქ სხედან და მათგან გამოდის ყველა ბძანება; ეს ბძანებანი ყოველთვის აღსრულებაში მოჰყავთ. რასთვის არიან იქ ეპისკოპოზები და ხშირად მათი ვიკარიები? სად არის მათი ადგილი? მათ არა აქვსთ განა თავის ფაკულტეტები, სადაც მათი საბძანებელი? ჩვენთან მათ რა საქმე აქვსთ? ისინი იყვნენ თავის ადგილს ძველად. კოროლების დროს, როდესაც ოთხი ფაკულტეტი მათ ხელში იყო; მაგრამ ეხლა მეხუთე არის კიდევ, რომელიც ამ ოთხის სრულებით წინააღმდეგი არის. მართლაც როგორ სასაცილო არ არის, რომ თავის ფაკულტეტში ეპისკოპოზი ასწავლის ფიზიკას და მართებლობა კი ღვთის მეტყველებას!?

„ჩვენ პატარ პატარად მივედით იქამდის, რომ სულ გადავაბრუნეთ ჩვენი სწავლის წესი და სრული არეულება სუფევს როგორც სასწავლებელში, ისე თითონ მოსწავლეების თავში. არის თუ არა საჭირო, რომ ეს მდგომარეობა გამოიცვალოს და რაც შეიძლება მალეც?

„უეჭველია, საჭირო არის, მაგრამ ვინ გააკეთებს ამას? ეს შეუძლიან მომავალ ნაციონალურ კრებას, თუ ის ნამდვილათ რესპუბლიკელი იქნება. მაგრამ პარიჟში ჰგონიათ, რომ დეპუტატების უმრავლესობა იქნება რესპუბლიკელი. დავიჯეროთ ეს საწუგეშო წინასწარმეტყველობა. მაგრამ სენატი?

„აი, აქ უნდა იქნეს ყველა ჩვენი ღონისძიება მიპყრობილი, რადგანაც თუ სენატი რესპუბლიკის წინააღმდეგი იქმნა, მეორე კრება გაუმქმდება ამით. ნუ ამოირჩევთ, უ. რედაქტორო, მისთანა პირს, რომელსაც კარგათ არ ჰქონდეს გაგებული თავის საქმე და რომლის სრული იმედი ჩვენ არ გვექნეს. სულ ამ გაუბედავი პირების ბრალია, რაც ვნება ეხლანდელმა კრებამ მოიტანა. დავიჯეროთ ამ ერთ გამოცდილებას, და განსაკუთრებით ნუ შეუშვებთ სენატში ულტრამონტანებს. აქ მარტო სწავლაზე არ არის საქმე; მთელი საფრანგეთის საქმე შეკავშირებულია რესპუბლიკასთან და თავისუფლებასთან.“

წეს-დება

მიხაილის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა ქუთაისს

(გაგრძელება)

ა. გრძელ-ვადიანი სესხი

§ 29. გრძელ-ვადიანი სესხი მიიცემა: 1) მიწების გირაოში ორმოცდარვა წლისა და რვა თვის ვადით და ორმოცდა სამის წლისა და ნახევრის ვადით, 2) ქალაქში მდებარე უძრავის ქონების გირაოში ცხრამეტის წლისა და თერთმეტის თვის ვადით და თვრამეტის წლისა და შვიდის თვის ვადით.

§ 30. გრძელ-ვადიანს [illegible] აძლევს გირაოს ფურ[illegible]ლებულ ფასად. მაგრამ იმას შეუძლიან, რომ სესხის ამღებთ ნ შეთანხმებით მიინდოს თვითონ მიცემულის ფურცლების გასაღება და აიღოს გასამრჯელო ზომიერებისაგან დაწესებულის ზომით, მაგრამ მეოთხედ ნაასალზედ არა უმეტესი. ამ გასამრჯელოს ზომის შეცვლა ყოველთვის დროზედ უნდა გამოცხადდეს.

§ 31. გრძელ-ვადიანის სესხის ამღები ვალდებულია იხდიდეს ყოველს ექვს თვეში: 43½ წლისა და 18 წლისა და 7 თვის ვადით აღებულს ვალზედ სამ ნაასალ ნამთავენს, და 48 წლისა და 8 თვისა და 19 წლისა და 11 თვისა ვადით აღებულს ვალზედ ორ ნახევარს ნაასალს და ამასგარდა ყველა ამ ვალზედ უნდა იხდიდეს სხვა ფულსაც, საზოგადო კრებისაგან დაწესებულის ზომით, მაგრამ სამ მეოთხედ ნაასალზედ არა უმეტესს: ა) ბანკის შემონახულის თავნის (§ 96) შესადგენად; ბ) სახარჯოდ ბანკის მმართველობისათვის და გ) იმ თავნის შესადგენად, რომლიდგანაც უნდა დაკმაყოფილდეს საზოგადოებრივი საჭიროებანი მიწის მეპატრონე წოდებისა ქუთაისის გუბერნიაში (§ 94).

§ 32. სესხის გადასახდელად ამღები ვალდებულია შეიტანოს ყოველს ექვს თვეში: 43½ წლისა და 48 წლისა და 8 თვის ვადით მიცემულს სესხზედ ვალის ერთი მეოთხედი ნაასალი, და 19 წლისა და 11 თვის და 18 წლის და 7 თვის ვადით მიცემულზედ—ერთ ნახევარი ნაასალი.

რაც დაფასების წარმოებაზედ და გირაოს ფურცლების მომზადებაზედ დახარჯულა, იმის შესავსებლად ბანკი იღებს ერთჟამიერად ვალის ერთ ნაასალს.

§ 33. აქწესდების §§ მე-31 და 32 ში დაწესებული მისაცემი ფულები უნდა შეიტანონ ყოველივე ნახევარის წლისათვის წინდა-წინ, 30 ივნისსა და 31 დეკემბერზედ არა გვიან. ეს შესატანი ფულები შეიძლება გარდაიხადონ ნაღდ ფულს გარდა ბანკის გიროს ფურცლებითაც, რომელთაც გაუქმების წილი ხვედრიათ, ან ამ ფურცლებისაგან ნაკვეთის კუპონებით, რომელთაც გარდახდის დრო შესრულებიათ.

§ 34. სესხის ამღებლებს ყოველთვის შეუძლიანთ, დაწესებულის რიგით და ზომით (§§ 31 და 32) მისაცემს ფულს გარდა, რაც გრძელ-ვადიანის სესხისაგან გადაუხდელი დარჩენიათ, დაუბრუნონ ბანკს ვადამდის, ნაწილ-ნაწილად, ას მანეთზედ არ ნაკლებ და სრულ ას-ასობით, ან მრთლად, გიროს ფურცლების დასახელებულ ფასად შეტანითა.

მაგრამ თუ ამ გვარის ვალის ვადამდის გარდასახდელად სესხის ამღები ნაღდს ფულს წარადგენს, მაშინ ის ვალდებულია თავნს გარდა მისი სარგებელიც შეიტანოს, რამდენიც ამ თავნიდან შესაფარდებელის გიროს ფურცლების გაუქმებამდის შეხვდება.

§ 35. ქონების გადაგირავება შე-

იძლება, როდესაც გარდახდილია ამ ქონებაზედ მდებარე გრძელ-ვადიანის ვალის მეხუთედი, იმ პირობების თანახმად, რომელნიც სესხის ამღებმა პირველად სესხების დროს იყაბულა. ᲑᲐᲓᲐᲒᲘᲠᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ ᲐᲘᲦᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲜᲐᲐᲡᲐᲚᲘ ᲘᲛ ᲡᲔᲡᲮᲖᲔᲓ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲘᲠᲐᲝᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲒᲘᲠᲐᲕᲔᲑᲣᲚᲡ ᲥᲝᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲛᲐᲢᲐᲗ ᲛᲘᲔᲪᲔᲛᲐ.

ბ. მოკლე-ვადიანი სესხი

§ 36. მოკლე ვადიანი სესხი შეიძლება გაიცეს ერთის წლის ვადიდან სამს წლამდის, სესხის ამღების სურვილისა და გამგეობის დახედვისამებრ.

§ 37. მოკლე-ვადიანი სესხი გაიცემა ნაღდი ფულით ბანკის თავისუფალი თავნებისაგან.

§ 38. მოკლე-ვადიანის სესხის სარგებლის ზომა და თავნის დაბრუნების პირობები უნდა დაწესდეს, გამგეობის წარდგინებით, ზედამხედველის კომიტეტისაგან და დროზედ გამოცხადდეს მე-§ 15 მუხლში მოხსენებულს გაზეთებში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲘᲗᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲙᲚᲔ-ᲕᲐᲓᲘᲐᲜᲘ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲖᲔᲓ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡᲗ ᲘᲛ ᲗᲐᲕᲐᲯ ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲡᲐᲫᲘᲠᲝ ᲗᲐᲕᲜᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲚᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲣᲚᲘᲐᲗ (§§ 1 და 2).

ᲜᲐᲠᲔᲕᲘ

ᲔᲠᲗᲘᲡ ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲡ ᲒᲔᲠᲪᲝᲒᲡ, ᲑᲐᲚᲘᲔᲠᲡ ᲨᲔᲣᲬᲘᲠᲐᲕᲡ ᲔᲥᲕᲡᲡᲐ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲑᲔᲜᲣᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲒᲐᲜᲘᲔᲠᲔᲑᲚᲐᲓ (და კიდევ დაჰპირდა, თუ საჭირო იქნებაო). ᲐᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲑᲘᲠᲐᲗᲘ ᲛᲘᲣᲬᲔᲠᲘᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ ᲑᲐᲠᲘᲑᲐᲚᲓᲘᲡ ᲒᲔᲠᲪᲝᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ:

„ᲗᲥᲕᲔᲜ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲒᲠᲐᲜᲓ (დიდებული) ᲮᲐᲠᲗ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲛᲔ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲛᲐᲗ ᲣᲛᲐᲮᲘ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐᲡ ᲐᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ.

„ᲡᲐᲡᲘᲥᲐᲓᲣᲚᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲩᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔ ᲕᲐᲠ. ᲓᲘᲓᲘᲡ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲘᲫᲚᲕᲜᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲝᲗ ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.“

* * *

ᲜᲔᲫᲘᲜᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ (ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ) ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲡᲐᲪᲘᲚᲝ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲐ:

ᲘᲥ ᲓᲒᲐᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲝᲚᲙᲘ; ᲨᲐᲠᲨᲐᲜ, ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲨᲘ, ᲐᲛ ᲞᲝᲚᲙᲘᲡ ᲙᲐᲛᲐᲜᲓᲐᲠᲛᲐ ᲛᲘᲡᲬᲔᲠᲐ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲚᲝᲪᲘᲜᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲒᲚᲔᲮᲘ, ᲡᲘᲛᲝᲜ ᲞᲐᲜᲐᲛᲐᲠᲔᲜᲙᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲔ ᲛᲘᲛᲬᲔᲠᲘᲡ ᲞᲝᲚᲙᲘᲡ ᲙᲐᲛᲐᲜᲓᲐᲠᲛᲐ ᲛᲘᲡᲬᲔᲠᲐ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲚᲝᲪᲘᲜᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲒᲚᲔᲮᲘ, ᲡᲘᲛᲝᲜ ᲞᲐᲜᲐᲛᲐᲠᲔᲜᲙᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲯᲔᲠᲘ ᲛᲘᲣᲬᲔᲠᲘᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ ᲑᲐᲠᲘᲑᲐᲚᲓᲘᲡ ᲒᲔᲠᲪᲝᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ:

„ᲗᲥᲕᲔᲜ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲒᲠᲐᲜᲓ (დიდებული) ᲮᲐᲠᲗ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲛᲔ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲛᲐᲗ ᲣᲛᲐᲮᲘ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐᲡ ᲐᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ.

„ᲡᲐᲡᲘᲥᲐᲓᲣᲚᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲩᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔ ᲕᲐᲠ. ᲓᲘᲓᲘᲡ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲘᲫᲚᲕᲜᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲝᲗ ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.“

* * *

ᲜᲔᲫᲘᲜᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ (ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ) ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲡᲐᲪᲘᲚᲝ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲐ:

ᲘᲥ ᲓᲒᲐᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲝᲚᲙᲘ; ᲨᲐᲠᲨᲐᲜ, ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲨᲘ, ᲐᲛ